იზი ასლამაზ-ბარათაშვილი

ჭორფლიანი კალია და წითელბაფთიანი მერცხალი

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2024

ავტორი
იზი ასლამაზ-ბარათაშვილი

რედაქტორი
გიორგი კეკელიძე

მხატვარ-ილუსტრატორი
დალი მუხაძე

რედაქტორ-კორექტორი
მარინა ჟღენტი

ტექნიკური რედაქტორი
ჯულიეტა ანდღულაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნინო თვალჭრელიძე

ქართული გამოცემა © საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024
კოსტავას ქ. 77ა, თბილისი, 0171, საქართველო.
032 2 55 22 22

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან საშუალებით არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-9708-0-1

დაიბეჭდა საქართველოში.

მუსიკის ძალა

ერთ სასახლეში ცხოვრობდა კეთილი და ლამაზი
პრინცესა ანა-მარიამი.

მას ჰყავდა პიანისტი ძმა, სახელად ალექსანდრე, რომელიც მეგობარ მევიოლინესთან ერთად მშვენიერ მელოდიებს თხზავდა, პრინცესა კი დიდი სიყვარულით უსმენდა მათ შექმნილ ნაწარმოებს და ორივე მუსიკოსით ძლიერ ამაყობდა.



მუსიკის მოყვარულ პრინცესას ასევე უყვარდა სასახლის წინ გაშენებულ „გარგლის“ ხეივანში სეირნობა და ფანჩატურში წიგნის კითხვა. ხეივანი, განსაკუთრებით, ზაფხულობით ხიბლავდა, როდესაც ხილი მწიფდებოდა, იქაურობა ოქროსფრად იმოსებოდა, ირგვლივ კი ჰაერი გარგარის სურნელით იჟღინთებოდა.



ერთხელაც, როდესაც პრინცესა „გარგლის“ ხეივან-
ში სეირნობის შემდეგ სასახლეში დაბრუნდა, როიალზე
ძმის გადაშლილი ნოტები დაინახა,
ალექსანდრე არსად ჩანდა, მისი
საყვარელი თეთრი ბუ კი გალი-
აში ბოლთას სცემდა, გალი-
ის ბადეს ისე ეხეთქებოდა,
თითქოს მასში ვეღარ ეტე-
ოდა. გაკვირვებულმა გო-
გონამ სასახლის ყველა



ოთახი მოიარა, მაგრამ ძმა ვერსად ნახა. ამ ამბით შეწუ-ხებულმა მშობლებმა მსახურებს უბრძანეს, ყველა კუთხე-კუნჭული დაეთვალიერებინათ, რომ მათი ვაჟი ეპოვნათ, მაგრამ ამაოდ, პრინცი – ალექსანდრე არსად ჩანდა.

ასე გადიოდა დღეები, დიდმა დარდმა პრინცესა ლოგინად ჩააგდო, საწოლიდან აღარ დგებოდა, არც არავის ნახვა სურდა, ძმის მოლოდინში სასახლის კარს შესცქეროდა და უკვირდა, რატომ აღარ სტუმრობდა მას ძმის მეგობარი მევიოლინე – ნიკო.



ერთ დღეს ძალიან დაცხა, დასუსტებული ანა-მარიამი უჰაერობით შეწუხდა და მსახურებს სასახლის ფანჯრების გაღება სთხოვა. ბაღნარიდან გრილი სიო შემოვიდა, ფოთლების შრიალმა და შემოფრენილმა პეპელამ ოდნავ გაახალისა პრინცესა. მოგვიანებით „გარგლის“ ხეივნიდან, რაღაც ბგერები მოესმა, რომლებიც თანდათან მუსიკის ჰანგებად გადაიქცა. ასე გამეორდა მეორე და მესამე დღესაც. იმედისმომცემმა, ნაზმა მუსიკამ ანა-მარიამზე ისე იმოქმედა, რომ საწოლზე ჩამოჯდა და